ხელშეკრულება №19-05-01/17

ქ. თბილისი 19 მაისი, 2017 წელი

ერთი მხრივ, **საჯარო სამართლის იურიდიული პირი ,,საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური"** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი უფროსის ვალერიან ხასაშვილის სახით, და მეორე მხრივ, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ორიენტ ლოჯიკი"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ქსელური კომუტატორი (სვიჩი) (შემდგომში „შესყიდვის ობიექტები") შესყიდვა (CPV კოდი 32540000).

1.2. შესყიდვის ობიექტების აღწერილობა და განფასება:

N	საქონლის დასახელება	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი	საქონლის საერთო ფასი
1	SG 300-52MP 52-port Gigabit Max-PoE Managed Switch	ცალი	1	4870.00	4870.00
					სულ 4870.00

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტები, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან. შესყიდვის ობიექტების შემოწმების ადგილია შემსყიდველის მისამართი.

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული შესყიდვის ობიექტების შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

2.4 ხელშეკრულების 2.1 პუნქტში აღნიშნულ ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი თამარ კალანდაძე.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა შესყიდვის ობიექტების შემსყიდველისათვის მიწოდება უნდა განახორციელოს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 45 (ორმოცდახუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
3.2. შესყიდვის ობიექტები ან მათი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შესყიდვის ობიექტების მიწოდების საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ფაქტიური მისამართი.
3.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე პირად განისაზღვროს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი კახაბერ სხულუხია.

მუხლი 4. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტების საერთო ღირებულება შეადგენს 4870.00 (ოთხი ათას რვაასსამოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
4.2. 4.1. პუნქტში მითითებული ფასის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4.3. ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტების მიწოდებიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დროულად და სრულად მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.
5.2. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას:
5.2.1. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული შესყიდვის ობიექტები;
5.2.2. შესყიდვის ობიექტების ნაკლის აღმოჩენისას მოახდინოს ნაკლის გამოსწორება თავისი ხარჯით;
5.2.3. უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დროულად და სრულად შესრულება.

მუხლი 6. გარანტია

6.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტები. შესყიდვის ობიექტების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ტიპის საქონელზე მოქმედ სახელმწიფო და/ან საერთაშორისო სტანდარტებს.
6.2. მიმწოდებელი იძლევა იმის გარანტიას, რომ მის მიერ გადაცემული საქონელი იქნება შესაბამისი ტექნიკურ მოთხოვნებთან და შესაფერისი იმ მიზნისათვის, რომლისთვისაც ის არის გათვალისწინებული და იმუშავებს სრულიად გამართულად.
6.3. თუ საქონლის მიღებისას გამომჟღავნდება საქარხნო დეფექტი, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, შეცვალოს დეფექტური საქონელი ახლით 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.4. ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.
7.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შესყიდვის ფასის 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის.
7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, 2017 წლის 19 მაისიდან და მოქმედებს 2017 წლის 18 ივლისი ჩათვლით.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. დავის განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
11.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

მის.: ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის 83

საიდენტიფიკაციო კოდი: 204 447 330
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ა/ანგარიში GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი: TRESGE22

სამსახურის უფროსი

ვალერიან ხასაშვილი

შპს „ორიენტ ლოჯიკი"

მის: მის.: ქ. თბილისი, დიღომი, ბელიაშვილის ქ. №8
საიდენტიფიკაციო კოდი: 202 052 054
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ბაზის ბანკი"
ა/ანგარიში GE96BS0000000005936872
ბანკის კოდი: CBASGE22

კომერციული დირექტორი

ალან სანაკოევი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ ქსელური კომუტატორის (სვიჩის) (მიმწოდებელი შპს ,,ორიენტ ლოჯიკი") შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვალერიან ხასაშვილი
სამსახურის უფროსი

თამარ კალანდაძე

ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი

19.05.2017